მანანა მიქაძე
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ქუთაისი, საქართველო
Manana.mikadze@atsu.edu.ge
https://doi.org/10.52340/lac.2025.10.44

დავით, პოლიკარპე და სარგის კაკაბაძეები

პოლიკარპე მალხაზის ძე კაკაბაძე დაიბადა 1893 წლის 7 მარტს ხონის რაიონის სოფელ დიდ კუხში. 1911 წელს დაამთავრა ბათუმის ვაჟთა გიმნაზია.

მისი პირველი ნოველა "ბრძენი მოქანდაკე" დაიბეჭდა 1915 წელს ჟურნალში "თეატრი და ცხოვრება." კაკაბაძის პირველი მნიშვნელოვანი დრამატული ნაწარმოებია რევოლუციური ბრძოლის ამსახველი პიესა "გზაჯვარედინზე'', რომელიც წარმატებით დაიდგა ბაქოს სცენაზე 1918 წელს (რეჟისორი ალექსანდრე წუწუნავა) . 1919 წელს კაკაბაძის მიერ დაარსებულ ჟურნალში "შვიდი მნათობი" დაიბეჭდა მისი პიესები "სისხლი სინათლემდე" და "სამი ასული". 1925 წელს რუსთაველის სახელობის თეატრის სცენაზე დაიდგა მისი დრამა "ლისაბონის ტუსაღები" (რეჟისორი დოდო ანთაძე) . დიდი პოპულარობით სარგებლობდა პ. კაკაბაძის კომედია "ყვარყვარე თუთაბერი", რომელიც ქართული საბჭოთა კომედიოგრაფიის საუკეთესო ნიმუშია.

ღრმად შთამბეჭდავია და კლასიკური სრულყოფით გამოირჩევა მძაფრი ისტორიის ქარტეხილების ფონზე შემთხვევით ამოტივტივებული გაიძვერა მედროვის ყვარყვარეს მხატვრული სახე. ქართული ფოლკლორის გმირის ნაცარქექიას ნიღბით აღჭურვილი ყვარყვარე ზოგადსაკაცობრიო ტიპიც არის.

პიესა პირველად დადგა კ. მარჯანიშვილმა 1929 წელს, ახლებური იყო რ. სტურუას 1974 წლის დადგმა. 1938 წელს კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრში დაიდგა კაკაბაძის კომედია "კოლმეურნის ქორწინება".

რომელშიც მეტყველად აისახა ახალი საბჭოთა ადამიანის სულიერი ფორმირების პროცესი. პიესა დრამატურგის ახალ გამარჯვებად იქცა.

საბჭოთა ხალხის მშვიდობიანი შრომის თემას ეძღვნება კაკაბაძის 40-50-იან წლებში შექმნილი პიესები:„შეხვედრა მშენებლობაზე“, „ბედნიერი სამჭედლო“, „ციცინათელა“, „პაექრობა“, რომელთა გადამუშავების საფუძველზე დრამატურგმა 1964 წელს ახალი პიესა „ცხოვრების ჯარა“ შექმნა. კაკაბაძის ისტორიულ პიესას (კომედია)„კახაბერის ხმალი“ („დავით მერვე“, 1954) უხვად ასაზრდოებს ქართულ ფოლკლორული სახეები. პიესა პირველად დაიდგა 1957 წელს ქუთაისში (რეჟისორი თ.მაღალაშვილი), 1965 წელს კი — თბილისში (მარჯანიშვილის სახ. თეატრი, რეჟისორი გრიგოლ ლორთქიფანიძე).

სიცოცხლის ბოლო ათწლეულში კაკაბაძე ინტენსიურად მუშაობდა ისტორიულ დრამისა და ტრაგედიის ჟანრში. ამ პერიოდში მან გამოაქვეყნა დრამატული პოემები „მეფე ვახტანგ პირველი გორგასალი“ (1966), „მეფე ბაგრატ მეშვიდე“ (1967), ტრაგედია „მეფე დიმიტრი თავდადებული“ (1971).

პ. კაკაბაძის ისტორიული პიესა "კახაბერის ხმალი" ("დავით მერვე", 1954), პირველად დაიდგა 1957 წელს ქუთაისში, 1965 წელს კი - თბილისში. სიცოცხლის ბოლო ათწლეულში პ. კაკაბაძე ინტენსიურად მუშაობდა ისტორიულ დრამისა და ტრაგედიის ჟანრში. ამ პერიოდში მან გამოაქვეყნა დრამატული პოემები "მეფე ვახტანგ პირველი გორგასალი" (1966), "მეფე ბაგრატ მეშვიდე" (1967), ტრაგედია "მეფე დიმიტრი თავდადებული" (1971). მან სიცოცხლეშივე მოიპოვა თანამედროვე კრიტიკისა და საზოგადოებრიობის დიდი აღიარება. მისი "ყვარყვარე თუთაბერის" მიხედვით შექმნილია ფილმი "ყვარყვარე."

პოლიკარპე კაკაბაძეს მინიჭებული აქვს საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწია წოდება და იყო შრომის წითელი დროშის ორდენოსანი

კაკაბაძემ სიცოცხლეშივე მოიპოვა თანამედროვე კრიტიკისა და საზოგადოებრიობის დიდი აღიარება. მისი „ყვარყვარე თუთაბერის“ მიხედვით შექმნილია ფილმი „ყვარყვარე“ (1978, რეჟისორი დიმიტრი აბაშიძე).

პოლიკარპე კაკაბაძე გარდაიცვალა 1971 წელს და დაკრძალუ-ლია მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.

დავით ნესტორის ძე კაკაბაძე დაიბადა ხონის რაიონის სოფელ დიდ კუხში 1889 წლის 8 აგვისტოს, იგი არის ქართველი ფერმწერი, გრაფიკოსი, თეატრისა და კინოს მხატვარი, ხელოვნების მკვლევარი, გამომგონებელი, საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი.

მალე ოჯახი ქუთაისში დაფუძნდა და ის იგი ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში მიაბარეს. დავითი ბავშვობიდან გამორჩული იყო მრავამხრივი ინტერესებითა და მიდრეკილებით როგორც საბუნებისმეტყველო საგნების, ისე მხატვრობის მიმართ.

დავით კაკაბაძე მოწაფეობის წლებიდან ბეჭდავდა ნახატებს ქართულ პერიოდულ პრესაში. როდესაც იგი 1910 წელს პეტერბურგში გაემგზავრა სამხატვრო აკადემიაში განათლების მისაღბად და კონკურსისათვის სათანადოდ მომზადებული ვერ აღმოჩნდა, პეტერბურგის უნივერსიტეტში ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე ჩააბარა.

1916 წელს დაამთავრა პეტერბურგის უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის საბუნებისმეტყველო განყოფილება, იმავე დროს, 1915 წლამდე, მეცადინეობდა მხატვარ ლ. დიმიტროევ-კავკაზსკის სახელოსნოში; გაეცნო რუსულ და დასავლეთევროპული მხატვრობის უახლეს მიმდინარეობებს და დაჯგუფებებს. სტუდენტობის წლებში დაიწყო ძვ. ქართული ხელოვნების კვლევა.

1915 წელს ახალგაზრდა დავით კაკაბაძე სამოქმედო გეგმა-კრედოს აყალიბებს, სადაც წერს, რომ ხელოვნება მეცნიერებაა. პეტერბურში იგი რუსული ავანგარდული ხელოვნებისთანაზიარი ხდება.

ის მოდერნისტ მხატვართა იმ წრეს ეკუთვნის, რომლებიც თვლიდნენ, რომ ხელოვნების ნიმუში, არა მხოლოდ შთაგონებით, არამედ დიდი ცოდნის საფუძვლეზე უნდა შეიქმნას. 1914 წელს ის ცნობილ რუს მხატვარ პაველ ფილონოვთნ ერთად სამხატვრო გაერთიანებას აარსებს სახელწოდებით «Сделанные картины».

პეტერბურგში კაკაბაძე 1918 წლამდე დარჩა. ამ პერიოდს მიეკუთვნება ფინეთსა და საქართველოში ნატურიდან დახატული პეიზაჟები, 3 ავტოპორტრეტი („ავტოპორტრეტი სარკესთან“, 1913, საქართველოს ხელოვნების მუზეუმი; „ავტოპორტრეტი ბროწეულით“, 1913; „ავტოპორტრეტი რუხ ხალათში“, 1917 - ორივე მხატვრის ოჯახის კუთვნილება), დედის პორტრეტი, 1914 და ძმის პორტრეტი, 1915 (ორივე მხატვრის ოჯახის კუთვნილება). რეალისტურ ნამუშევრებთან ერთად კაკაბაძემ შექნმნა

კუბისტური ხასიათის სურათებიც („დასაფლავება იმერეთში“, 1913; „ავტოპორტრეტი“ 1913 — ორივე მხატვრის ოჯახის კუთვნილება), 1918–1919 წლები კაკაბაძემ საქართველოში გაატარა. ამ პერიოდში საბოლოოდ ჩამოყალიბდა მისი, როგორც მკაფიო თავისებურებების მქონე მხატვრის, შემოქმედებითი სახე. კაკაბაძემ შექმნა იმერული პეიზაჟების ციკლის პირველი ნიმუშები. ადრინდელი პეიზაჟებისაგან განსხვავებით, ისინი ბუნების უშუალო ასახვას კი არ წარმოადგენენ, არამედ მკაფიოდ გამოკვეთილი პრინციპების თანახმად აგებულ სურათებს, რომლებშიც მოცემულია იმერეთის ბუნების განზოგადებული სახე; კომპოზიციას ახასიათებს ნათელი, კლასიკური ტექნიკურობა („პეიზაჟი წითელი გზით“, „პეიზაჟი ციხითა და მდინარით“, 1918, ორივე მხატვრის ოჯახის კუთვნილება).

1918 წელს კაკაბაძემ შექმნა სურათი „იმერეთი - დედაჩემი“, სადაც მხატვრისთვის ჩვეული იმერეთის პეიზაჟის ფონზე გამოსახულია მოხუცი ქალის ალეგორიული ფიგურა. ამავე წელს შექმნა ლაკონიური და გრაფიკულად მკაფიო „იმერული ნატურმორტი“ (ორივე ნამუშევარი საქართველოს ხელოვნების მუზეუმში ინახება); ამავე პერიოდს განეკუთვნება ძვ. თბილისის ამსახველი ნახატები და წაღვერის სერია (მხატვრის ოჯახისა და დასავლეთ ევროპის სხვადასხვა მუზეუმების კუთვნილება).

1919 წელს საქართველოს ხელოვანთა საზოგადოების გადაწყვეტილებით ახალგაზრდა ნიჭიერ ქართველ მხატვრებს თანამედროვე ხელოვნებასთან საზიარებლად პარიზში აგზავნიან. პირველ ეტაპზე, ასეთები აღმოჩნდენენ დავით კაკაბაძე და ლადო გუდიაშვილი.

ამრიგად, 1919-1927 წლებში დავითი ცხოვრობს და მოღვაწეობს პარიზში. მხატვრის შემოქმედებაში XX საუკუნის მოდერნისტული ხელოვნების სხვადასხვა მიმდინარეობა და მხატვრული მეთოდი აისახა.

დავით კაკაბაძე ქმნის აბსტრაქციებს, კოლაჟებს, კუბისტურ და კონსტრუქტივისტულ კომპოზიციებს, ამასთან ის რჩება გამორჩეულად თვითმყოფადი და ეროვნული შემოქმედი.

პარიზში გამოდის მხატვრის არა ერთი თეორიული ნაშრომი ხელოვნების თემაზე, რომლებიც ფაქტობრივად პირველი ნაშრომებია ქართულ ხელოვნებათმცოდნეობაში.

ამავე პერიოდში,1921 წლიდან ის სამეცნიერო გამოგონებაზე მუშაობს და უსათვალო კინოსაპროექციო სტერეო აპარატს ქმნის. 1922-1925 წლებში კაკაბაძის გამოგონება დაპატენტდა ამერიკაში, საფრანგეთში, გერმანიაში, ბელგიაში, იტალიაში, ესპანეთში და სხვა ქვეყნებში

განსაკუთრებით აღსაღნიშნია, რომ 1926 წელს დავით კაკაბაძის ნამუშევრები /აბსტრაქტული სკულპტურა Z, 19 აკვარელი და 6 კოლაჟი/ ქ.ნიუ-ორკში, ბრუკლინის მუზეუმის ცნობილ საერთაშორისო გამოფენაზე გამოიფინა. გამოფენა ვასილი კანდინსკის 60 წლის საიუბილეო თარიღს ეძღვნებოდა და ამერიკაში ევროპული მოდერნისტული ხელოვნების ერთ-ერთ პირველ მნიშვნელოვან პრეზენტაციას წარმოადგენდა. ამ გამოფენისათვის დავით კაკაბაძის ნამუშევრები შეირჩა ისეთ მხატვრებთან ერთად, როგორებიც იყვნენ: პაბლო პიკასო, ჟორჟ ბრაკი, ჟან (ჰანს) არპი, მაქს ერნსტი, ჯორჯო დე კირიკო, დავიდ ბურლიუკი, ვასილი კანდისკი, ხუან გრისი, ხუან მირო, პიტ მონდრიანი, პაულ კლე და სხვები.

შემდგომში ეს ნამუშევრები იელის უნივერსიტეტთან არსებულ გალერეაში მოხვდა და დღესაც იქ ინახება. ამ გალერეის 1950 წელს გამოცემულ კატალოგში დავით კაკაბაძეს

შესახებ ვკითხულობთ: ის იყო ერთი ყველაზე საინტერესო ყველა თანამედროვე მხატვართა და მოქანდაკეთა შორის.

1919–1927 წლებში კაკაბაძე პარიზში ცხოვრობდა, მონაწილეობდა „დამოუკიდებელ მხატვართა საზოგადოების“ ყოველწლიურ გამოფენებში, სხვა ქართველ მხატვრებთან ერთად აწყობდა გამოფენებს (მოაწყო თავისი სურათების გამოფენა ამერიკაში); კითხულობდა ლექციებს ხელოვნების საკითხებზე, მუშაობდა სტერეოკინოს გამოგონებაზე (მიღებული აქვს ევროპის მრავალი ქვეყნის პატენტი), აქვეყნებდა თეორიულ ნაშრომებს (ქართულ და ფრანგულ ენებზე).

კაკაბაძის ამ პერიოდის შემოქმედებაში აისახა ორი მიმართულება: ერთი მხრივ, მხატვარი ქმნიდა რეალისტურ, საგნობრივი სამყაროს მიერ შთაგონებულ სურათებს (პარიზის ჩანახატების სერია, აკვარელების სერია „ბრეტანი“ - საქართველოს ხელოვნების მუზეუმისა და მხატვრის ოჯახის კუთვილება; „წურბელების გამყიდველი“, „ბანანების გამყიდველი“ — ადგილსამყოფელი უცნობია), მეორე მხრივ — უსაგნო სურათებს და კოლაჟებს (ცალკეული სერიები ინახება მხატვრის ოჯახში და საქართველოს ხელოვნების მუზეუმში).

1927 წელს სამშობლოში დაბრუნებულ მხატვარს კომუნისტური რეჟიმი დახვდა. საბჭოთა საქართველოსათვის მოდერნისტული მხატვრული აზროვნება მიუღებელი აღმოჩნდა. ცხადია, მხატვარი ვერ იღებდა მონაწილეობას დასავლეთის არტ პროცესებში. სამშობლოში კი უპირატესად თეატრსა და კინოს მხატვრობაში აგრძელებს მოღვაწეობას, აფორმებს აღლუმებს, იღებს დოკუმენტურ ფილს ქართული კულტურის სიძველეებზე

აბსტრაქცია

1927 წელს შექმნა ალეგორიული სურათი „ინდუსტრია“. საქართველოში დაბრუნების შემდეგ კოტე მარჯანიშვილის მოწვევით კაკაბაძემ მუშაობა დაიწყო თეატრალურ-დეკორაციული ხელოვნების დარგში. გააფორმა რამდენიმე სპექტაკლი (ერნსტ ტოლერის „ჰოპლა, ჩვენ ვცოცხლობთ!“, 1928; პოლიკარპე კაკაბაძის „ყვარყვარე თუთაბერი“, 1929; შალვა დადიანის „ნინოშვილის გურია“, 1932; დავით კლდიაშვილის „სამანიშვილის დედინაცვალი“, 1937; პოლიკარპე კაკაბაძის „კოლმეურნის ქორწინება“, 1946 — ყველა კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრი; ილო მოსაშვილის „სადგურის უფროსი“, 1947, რუსთაველის სახელობის თეატრი; პეტრე ჩაიკოვსკის „პოკის ქალი“, 1947

— თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრი და სხვა), აგრეთვე კინოფილმები („მარილი სვანეთს“, რეჟისორი მიხეილ კალატოზიშვილი, 1930; „დაკარგული სამოთხე“, რეჟისორი დავით რონდელი, 1936 და სხვა). კაკაბაძის შესრულებული დეკორაციები გამოირჩევა ფუნქციური მიზანშეწენილობით, სტილის ღრმა გრძნობით. ამავე პერიოდში კაკაბაძე აქტიურად მუშაობდა როგორც ფერმწერი და გრაფიკოსი. იგი კვლავ დაუბრუნდა იმერული პეიზაჟის თემას, შექმნა ინდუსტრიული პეიზაჟები („რიონჰესი“, 1934, საქართველოს ხელოვნების მუზეუმი და სხვა). ამ სურათების კომპოზიური აგებულება და დეკორატიულობა ძველებურია, მაგრამ ციხის ნანგრევს ცვლის ახალი ცხოვრების ნიშნები - ელექტროსადგური, მშრომელთა მანიფესტაცია; უფრო ცხოველი და ხალისიანია კოლორიტი („ყვითელი მთა“, 1937; „წითელი მთა“, 1944 - ორივე მხატვრის ოჯახის კუთხვილება; „მიტინგი იმერეთში“, 1942, საქართველოს ხელოვნების მუზეუმი). 1930-1940 წლებს მიეკუთვნება კიდევ რამდენიმე სერია („სვანეთი“, 1939;„თბილისი და მისი მოდამოები“, 1944 — ყველა მხატვრის ოჯახის კუთვნილებაა). 1940-1950 წლების მნიშვნელოვანი სურათებია: „ყაზბეგი“, „ფოთი-ელევატორი“ (1949, ორივე საქართველოს ხელოვნების მუზეუმი), „სვანეთი - მადნის დამუშავება“ (1949, მხატვრის ოჯახის კუთვნილება) და სხვა. 1928-1948 კაკაბაძე იყო თბილისის სამხატვრო აკადემიის პროფესორი (1933-1942 - პრორექტორი).

ამბროლაურის ხმა

დავით კაკაბაძე ხელოვანიც იყო და მეცნიერიც. მისთვის ხელოვნება თავად იყო მეცნიერება. იგი მეცნიერული მიდგომითა და ტანამიმდევრული ანალიზის საფუძველზე ქმნიდა ორიგინალურ მხატვრულ მემკვიდრეობას, სადაც ინტელექტუალური თუ შემოქმედებითი საწყისი თანაბარი ძალით იჩენს თავს და ჰარმონიულ ფორმაში ერთიანდება.

დავით კაკაბაძე ახალი ქართული ხელოვნების ერთ-ერთი ყველაზე დიდი წარმომადგენელია. მისი სურათები, დიდი კომპოზიციური ოსტატობისა და გადმოცემის სისხარტის გარდა, გამოირჩევა განსაკუთრებული ფერადოვანი სიფაქიზითა და დახვეწილობით; რაციონალურობასთან ერთად, მათ ახასიათებს მაღალი პოეტურობა. კაკაბაძემ პირველმა შექმნა ქართული ბუნების განზოგადებული სახე, პეიზაჟი-სურათი; დიდი მხატვრული ღირსებით გამოირჩევა ადრინდელ პერიოდში შექმნილი პორტრეტები. კაკაბაძე არის ქართული თეატრალური-დეკორაციული ხელოვნების ერთ-ერთი

ფუძემდებელი. იგი იყო მკაფიოდ ჩამოყალიბებული შეხედულებების მქონე, მოაზროვნე მხატვარი, რომელიც ყოველთვის ღრმად გააზრებულად, ლაკონიური საშუალებებით ასხამდა ხორცს თავის მხატვრულ ჩანაფიქრს.

დავით კაკაბაძე, ქართველი ხელოვანი, მეცნიერი და გამომგონებელი, იმდენად იყო გატაცებული ხელოვნებით, რამდენადაც ფიზიკით, ფილოსოფიით, დასავლური და აღმოსავლური კულტურების კვლევით. მისთვის ხელოვნება არა ესთეტიური ტკბობის საგანს, არამედ სამყაროს შემეცნების საშუალებას წარმოადგენდა. ამ მიზნით, დავით კაკაბაძე, შეეცადა ავანგარდულ ხელოვნებაში არსებული პროგრესული იდეები ქართულ მემკვიდრეობასთან დაეკავშირებინა.

ხელოვნების პარალელურად, კაკაბაძე აქტიურად მუშაობდა გამოგონებებზე. შექმნა უსათვალო სტერეო-კინო აპარატის კონცეფცია, ასევე მუშაობდა მოდიფიცირებადი განათების იდეაზე, 3D გამოსახულებაზე და სხვა. კაკაბაძის აზრით, თანამედროვე ხელოვნება და მეცნიერება ერთამნეთისგან გაუმიჯნავები გახდნენ.ხელოვანი კი, სულ უფრო უახლოვდებოდა მეცნიერის და მკვლევარის როლს. ეს აზრი, რომელიც 100 წლის წინ იწერებოდა და მუშავდებოდა, დღეს უკვე სრულად განსაზღვრავს თანამედროვე ხელოვნების ბუნებას. ხელოვნება და მეცნიერება განუყოფელია. ამ მხრივ, დავით კაკაბაძის იუბილის აღნიშვნა, ხაზს უსვამს იმ პროცესებს, რომლებიც ჩვენს რეალობაში უახლოეს წლებში დაიწყო და რაც ხელოვნების ნიმუშის ინდუსტრიალიზაციას, მის წარმოებას, ხელოვნების, ინტელექტის და დიალოგის ურთიერთდაკავშირებას გულისხმობს.

1928-1948წწ. იყო თბილისის სამხატვრო აკადემიის პროფესორი; 1933-1942წწ. აკადემიის პრორექტორი.

ცხოვრების ბოლო წლებში მხატვარი უარტოფილი და უმუშევარია. ცნობილია მისი წერილი სტალინისადმი, სადაც ითხოვს სკოლაში მასწავლებლის ადგილს, მას შეუძლია ასწავლოს არა მხოლოდ ხელოვნება, არამედ ფიზიკა, მათემატიკა, ბიოლოგია, რუსული, ფრანგული... წერილი რეაგიორების გარეშე დარჩა.

დავით კაკაბაძე გარდაიცვალა 10 მაისი, 1952 წლის 10 მაისს თბილისში, იგი

თავდაპირველად დაკრძალეს ვაკის სასაფლაოზე, 1963 წლის დეკემბერში ქართველი საზოგადოებრიობის მოთხოვნით მისი ნეშტი გადაასვენეს დიდუბის პანთეონში. საფლავი გაკეთებულია დავით კაკაბაძისათვის დამახასიათებელი მოდერნისტული მანერით მხატვარ დუდა გაბაშვილის მიერ.

მისი ძმა იყო ისტორიკოსი სარგის კაკაბაძე. თბილისში არსებობს ძმების სახელობის ქუჩა. ქუთაისში დავით კაკაბაძის სახელობისაა სამხატვრო გალერეა.

დავით კაკაბაძის მნიშვნელოვანი ნამუშევრები საქართველოსთან ერთად მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის გალერეებშია დაცული: ლისაბონის ბერარდოს მუზეუმის კოლექციაში, მადრიდის ტისენის მუზეუმში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, იელის უნივერსიტეტთან არსებულ გალერეაში.

სარგის ნესტორის ძე კაკაბაძე დაიბადა 1886 წლის 19 ოქტომბერს ხონის რაიონის სოფელ დიდ კუხში, სწავლობდა ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში, შემდეგ

სწავლობდა ვენის უნივერსიტეტში, დაამთავრა პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლური ენების ფაკულტეტი. 1911–1919 წლებში კითხულობდა ლექციებს თბილისის ქალთა უმაღლეს კურსებზე, ხოლო შემდეგ, 1952 წლამდე, საქართველოს სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში. 1918-1932 წლებში იყო სსრკ მეცნიერებათა აკადემიის კავკასიის ისტორია-არქეოლოგიის ინსტიტუტის თანამშრომელი, 1921–1926 — საქართველოს

ისტორიის არქივის გამგე, 1945–1961 — იმავე არქივის ძველი აქტების განყოფილების გამგე. 1924-1934 წლებში ხელმძღვანელობდა სიძველეთა დაცვის კომიტეტს.

სარგის კაკაბაძე იყო ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის ერთ-ერთი დამაარსებელი. გამოქვეყნებული აქვს შრომები საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ისტორიის, დამხმარე ისტორიის დისციპლინების, ფილოლოგიისა და ტექსტოლოგიის საკითხებზე. შეისწავლა და გამოაქვეყნა მრავალი ისტორიული დოკუმენტი.

მისი რედაქტორობით გამოქვეყნდა ვეფხისტყაოსანი ვრცელი გამოკვლევებით (1913, 1927), ჩახრუხაძის „თამარიანი“ (1937), შავთელის „აბდულმესიანი“ (1913, 1937) და „ამირანდარეჯანიანი“ (1939). მუშაობდა ეთნოგენეზის, ისტორიული გეოგრაფიისა და დემოგრაფიის, ადმინისტრაციული დაყოფისა და მმართველობის საკითხებზე. იყო „საისტორიო მოამბის“ (1924–1925, 4 წიგნი), „საისტორიო კრებულის“ (1928–1929, 4 წიგნი) რედაქტორი.

დაკრძალულია მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.

Manana Mikadze
Akaki Tsereteli State University
Kutaisi, Georgia
Manana.mikadze@atsu.edu.ge
https://doi.org/10.52340/lac.2025.10.44

Improvement speech culture in school

Abstract

A thorough study of the native language learner umdidrdeba mind, umushadeba certain view of things, events, and actions necessary for developing human life habits, is being developed as an educated pe

rson. Speech Development orderly manner requires knowledge of the psychophysiological nature. Native language teachers not only to resolve these issues, but also to teachers of all subjects, as the speech not only contributes to the development of the mother tongue, but in general, the knowledge of different skills. Mastered in elementary science issues will depend on how the student will have learned how perfectly the mother tongue, the language you are thinking.

Key words: speech culture and language, speech and thinking, problems in speech